შპს „საქპროექტარქიტექტურა“

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს ახალციხის რეგიონალური არქივის (ახალციხე, მანველიშვილის ქ. № 5) არსებული შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოებისა და ახალი საარქივე საცავის შენობის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურება

სახელმწიფო შესყიდვის კონკურსი
№1334

2014 წ

განმარტებითი ბარათი

პროექტით წარმოდგენილი არქიტექტურული კონცეფცია ითვალისწინებს ქ.ზუგდიდში არსებული არქივის შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციას და მის გვერდით ახალი არქივის შენობის აგებას.

არსებული არქივის შენობა აგებულია გასულ საუკუნეში. შენობა წარმოადგენს მართკუთხა ფორმის 3 სართულიან ნაგებობას. სართულებზე განლაგებულნი არიან არქივის საცავები, სამუშაო ოთახები, სანკვანძები. სართულები დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან შიდა ცენტრალური კიბით. შენობა აგებულია წითელი აგურით. ოთხივე ფასადის სამივე სართულზე მოწყობილია ფანჯრის ღიობები. შენობა საკმაოდ მოძველებულია როგოც ექსტერიერში ასევე ინტერიერში და საჭიროებს რეკონსტრუქციას.

რეკონსტრუქციით გათვალისწინებულია შენობის ფასადის ვიზუალის შეცვლა და შიდა სარემონტო სამუშაოები. არსებული არქივის შენობის გაბარიტები (სიგანე, სიმაღლე) არ იცვლება. იცვლება ფანჯრის ღიობების კონფიგურაცია. არსებული ფანჯრების ნაცვლად მოეწყობა ალუმინის ფანჯრები. ფასადი შეილესება და შეიღებება ნესტგამძლე მაღალი ხარისხის თეთრი ფერის ფასადის საღებავით. ცოკოლი მოპირკეთდება ქვით. შეკეთდება სახურავი, შეიცვლება სახურავის საფარი. ჩატარდება სარემონტო სამუშაოები შიდა სივრცეში (ინტერიერში). შეიცვლება იატაკები, შეიღებება ტიხრები და ჭერი. შიცვლება კარებები. სანკვანძში კედლები მოპირკეთდება კერამიკული ფილებით, იატაკზე დაიგება მეტლახი. შეიცვლება ელ. გაყვანილობა, წყლის და კანალიზაციის მილები. ცენტრალური კიბე მოპირკეთდება გრანიტით. შენობა აღიჭურვება თანამედროვე კომუნიკაციებით.

პროექტით წარმოდგენილი ახალი არქივის შენობა განლაგდება ძველი შენობის მიმდებარედ 2,50 მეტრის დაშორებით, იგივე ტერიტორიაზე. შენობები უკავშირდებიან ერთმანეთს შემინული გადასასვლელის მეშვეობით.

შენობა მართკუთხა ფორმისაა 500 $მ^2$. შედგება 3 სართულისგან. იატაკიდან იატაკამდე სართულის სიმაღლე 3 მ. თითოეული სართული შეადგენს 170 $მ^2$. სართულებზე განლაგებულია არქივის საცავი, სამუშაო ოთახი, სანკვანძი. სართულები დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან ცენტრალური კიბით. კიბე შემინულია მთელ სიმაღლეზე.

არქივის შენობა კარკასულია - 40 სმ ბლოკის შემავსებლით. სართულშუა გადახურვა მონოლითური რკინაბეტონის ფილა. ტიხრები სატიხრე ბლოკით 10 სმ. ცენტრალური კიბე მონოლითური რკ. ბეტონის მოპირკეთებული გრანიტით. იატაკები ოთახებში მაღალი ხარისხის ლამინატი, საცავებში მოეწყოს ვინილის იატაკები. სანკვანძებში კედლები მოპირკეთდეს კერამიკული ფილით, იატაკი – მეტლახით. კედლები და ტიხრები შეილესება და ღეიღებება მაღალი ხარისხის საღებავით. ჭერი შეიღებება თეთრად.

ყველა სათვსოს აქვს პირველადი განათება. ოთხივე ფასადზე მოწყობილია ალუმინის ფანჯრის ღიობები. ფასადი შეილესება და შეიღებება ნესტგამძლე მაღალი ხარისხის თეთრი საღებავით. ცოკოლი 0.90 მ – მოპირკეთდება ქვით. სახურავი სწორი გადახურული პოლიურეთანით. მოეწყობა მეხამრიდი.

პროექტში გათვალისწინებულია ეზოს კეთილმოწყობა. შენობაში მისასვლელი გზები დაიფარება ასფალტბეტონით. მოეწყობა განათება, სანიაღვრე სისტემები, სარინები, გამწვანება. მოეწყობა ახალი ღობე და ჭიშკარი.

ორივე შენობის გეგმარება სასურველია შეთანხმდეს დამკვეთთან.

შენობა აღიჭურვება თანამედროვე საინჟინრო კომუნიკაციებით.

არქიტექტურა ქმნის ყოფას. ჩვენ შევეცადეთ შეგვექმნა თანამედროვე მოთხოვნილებების გარემო.

ახალციხის რეგიონალური არქივი

შპს „საქპროექტარქიტექტურა“

ახალციხის რეგიონალური არქივი

შპს „საქპროექტარქიტექტურა“

ახალციხის რეგიონალური არქივი

შპს „საქპროექტარქიტექტურა“

ახალციხის რეგიონალური არქივი

შპს „საქპროექტარქიტექტურა“